მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

2024

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ძირითადი დონორები 2024

With funding from Austrian Development Cooperation

Brot für die Welt

bp

The European Union for Georgia
ENPARD: Support to Agriculture and Rural Development

HEKS EPER

CZECH AID

European Climate Foundation

Gip45
Federation Global Initiative on Psychiatry

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლის ოქტომბერში დაარსდა. „ელკანას“ მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ბიომეურნეობის განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

„ელკანა“ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში საქმიანობს. დაარსების დღიდან ისეთი საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, როგორებიც არიან EU, Brot für die Welt, HEKS, DANIDA, ევროპის ფონდი, BP, WB, UNDP, GEF, SDC, FAO, KfW, WWF და სხვ., ორგანიზაციას 200-მდე პროექტი აქვს განხორციელებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, სოფლის ტურიზმისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით.

„ელკანა“ საქმიანობს შემდეგ სფეროებში:

- კონსულტაციები და ტრენინგები აგროეკოლოგიისა და ბიოწარმოების დარგში;
- აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება;
- ხარისხის შიდა კონტროლის სისტემების დანერგვა მწარმოებელთა ჯგუფებში (ბიოწარმოება, სამართლიანი ვაჭრობა, აგროეკოლოგია, გეოგრაფიული აღნიშვნები);
- ბიოფერმერების და ფერმერთა ჯგუფების ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობა;
- ხარისხის ნიშნის მქონე პროდუქტების განვითარება და პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- თემის მობილიზება და სოფლის განვითარება;
- სოფლად ტურიზმის განვითარება, ტრადიციული პროდუქტების, ღვინის წარმოებისა და გადამუშავების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცოდნის ამაღლება აგროეკოლოგიის, ბიო-აგროწარმოებისა და ტრადიციული ჯიშების მნიშვნელობის მხრივ.

ასოციაცია მთელ საქართველოში 2000-მდე ფერმერთან მუშაობს, მათ შორის: ფერმერთა ჯგუფებთან, სხვადასხვა ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, საწარმოებთან და ა.შ. „ელკანა“ თანაბრად თანამშრომლობს როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან. ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ორგანიზაციის დაფუძნებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებასა და მიმდინარე საქმიანობაშიც.

ორგანიზაციის სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს. მას აგრეთვე აქვს ოფისი ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი) და წარმომადგენლობა დასავლეთ საქართველოში (ქუთაისი). გარდა ამისა, „ელკანა“ ორ საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობას მართავს: მცენარეული კულტურების საკონსერვაციო მეურნეობას - „მარცვლეულის კიდობანი“, სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი) და შინაური ცხოველების ადგილობრივი ჯიშების საკონსერვაციო ფერმას სოფელ ზემო ხოდაშენში (კახეთი).

„ელკანას“ მიერ 2024 წელს განხორციელებული პროექტები

#	პროექტის სახელწოდება	ხანგრძლივობა	დონორი
1.	ორგანული სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარებისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობა საქართველოში	იანვარი 2021 - ივნისი 2024	პური მსოფლიოსთვის, გერმანია
2.	ორგანული სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარების და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობა საქართველოში	სექტემბერი 2024 - აგვისტო 2027	პური მსოფლიოსთვის, გერმანია
3.	ორგანული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში	ოქტომბერი 2019 – მაისი 2024	ავსტრიის განვითარების სააგენტო
4.	ორგანული თხილის წარმოების ჯაჭვის განვითარება დამატებითი შემოსავლებისა და ღირსეული დასაქმებისათვის დასავლეთ საქართველოში	ივლისი 2018 - ივნისი 2024	დანიის განვითარების სააგენტო, ჰექს-ეპერი (შვეიცარია)
5.	იმერული მუხის საპილოტე აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში	სექტემბერი 2022 – ნოემბერი 2024	BP EXPLORATION
6.	იმერული მუხის საპილოტე აღდგენითი ღონისძიებების გაძლიერება	დეკემბერი 2024 - მაისი 2026	BP EXPLORATION
7.	ბიომრავალფეროვნების აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში	სექტემბერი 2023 – მაისი 2026	BP EXPLORATION
8.	აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა საქართველოს მეურნეობებში	აპრილი 2024 – ივნისი 2025	BP EXPLORATION
9.	SOLATIUM1: სამართლიანობისა და კეთილდღეობისთვის	მაისი 2023 – მარტი 2024	გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი (გიფ-თ)
10.	კლიმატისადმი მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის შესახებ შესაძლებლობების განვითარება, ცოდნის გაზიარება და ადვოკატირება საქართველოში.	დეკემბერი 2023 - სექტემბერი 2024	ევროპის კლიმატის ფონდი
11.	ჩეხური თესლის ბანკების გამოცდილების გაზიარება საქართველოსთან	ნოემბერი 2023 - ნოემბერი 2024	ჩეხეთის UNDP, ჩეხეთის საელჩო
12.	აგროეკოლოგიური სკოლის განვითარება	2024 - 2025	აგროეკოლოგიის ფონდი

მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

„ელკანას“ საქმიანობის გარე შეფასება

ასოციაცია „ელკანას“ საქმიანობის გარე შეფასება ჩატარდა 2024 წლის 24 მარტიდან 6 აპრილამდე ექსპერტების, გოტფრიდ ჰორნებერისა (FAKT-ის ასოცირებული კონსულტანტი, გუნდის ლიდერი, გერმანია) და ეკა დათუაშვილის (საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, თბილისი) მიერ. შეფასების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები და ინტერვიუები „ელკანას“ თანამშრომლებთან, სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ფერმერებთან, საოჯახო სასტუმრო სახლების მფლობელებთან და „ელკანას“ წევრ ფერმერებთან. შედეგები და მიღებული ინფორმაცია ექსპერტებმა წარადგინეს შემაჯამებელ შეხვედრაზე. გუნდმა მოამზადა შეფასების ანგარიში, რომელიც გათვალისწინებული იყო ორგანიზაციის შემდეგი სტრატეგიული დაგეგმვისთვის.

ასოციაცია „ელკანას“ წევრთა VIII საერთო კრება

29 ივნისს სოფელ ზემო ხოდაშენში, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას" შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობაში, გაიმართა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ ნამდვილ წევრთა საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდა ასოციაციის 31 ნამდვილი წევრი მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, კახეთის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებიდან.

კრების მონაწილეებმა მოისმინეს გამგეობისა და დირექტორის ანგარიში 2023 წელს ასოციაციის მიერ განხორციელებული საქმიანობებისა და საქართველოში ბიოწარმოების განვითარების მდგომარეობის შესახებ, ასევე განმარტება ასოციაციის წევრობის ახალი სტრუქტურის შესახებ, იმსჯელეს ორგანიზაციის 2025-2028 წლების პრიორიტეტებზე. საერთო კრებაზე მიმოიხილეს ის საფრთხეები, რასაც საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 28 მაისს მიღებული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“

მოიცავს საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური მომავლის, მათ შორის - სოფლის მეურნეობის, ბიო- და აგროეკოლოგიური წარმოების განვითარებისა და ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების, მათი თანამშრომლების, წევრებისა და ბენეფიციარებისათვის. მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს საზოგადოებისა და აგრარულ სექტორში მომუშავე დონორებისა და ორგანიზაციებისადმი: https://elkana.org.ge/uploads/site/articles/files/ka/249/elk-anas-mimartva-2024-Geo-68790c63e22ed-687fe07a8acd8.pdf

ასოციაცია „ელკანა“ 30 წლისაა

2024 წლის 12 ოქტომბერს ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“, ორგანიზაციის დაარსების 30 წლისთავის აღსანიშნავად, ჩაატარა ღონისძიება: „ელკანა“ - ბიოწარმოებისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერის 30 წელი“, რომელიც გაიმართა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში მდებარე „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობაში - „მარცვლეულის კიდობანი“. ღონისძიების მიზანი იყო „ელკანას“ 30-წლიანი საქმიანობის შეჯამება და ადგილობრივი ფერმერების ინიციატივების წარმოჩენა-წახალისება.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა bp საქართველოსა და გერმანული ორგანიზაციის, Brot für die Welt-ის მიერ მხარდაჭერილი აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროექტების წარდგენა და ჩეხეთის

რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტის - „თესლეულის ბიბლიოთეკები“ - დახურვა, რომელიც განხორციელდა ჩეხურ ორგანიზაცია Seminkovna-სთან ერთად. ღონისძიებაზე წარადგინეს და დააჯილდოვეს რვა ახალი თესლეულის ბიბლიოთეკა - თესლეულის ბიბლიოთეკები გადაეცა ოთხ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ერთ საჯარო ბიბლიოთეკას და სამ საოჯახო მეურნეობას.

ღონისძიებაზე ცალკე ტერიტორია დაეთმო ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას. გაიმართა ხორბლის ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშებისგან პურის ცხობის, ტენილი ყველის დამზადების, მესხური ქადისა და აპოხტის ხინკლის მომზადების მასტერკლასები. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ მასტერკლასებში და დაეგემოვნებინათ ტრადიციული ადგილობრივი კერძები.

ღონისძიებას სტუმრობდნენ „ელკანას“ წევრი ფერმერები, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო ინსტიტუტების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, მედიის, HoReCa-ს და კერძო სექტორების წარმომადგენლები როგორც სამცხე-ჯავახეთიდან, ასევე თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან.

ჯგუფური სერტიფიცირების სისტემა

- **მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათის“ პროდუქცია ჯგუფური ორგანული და Fairtrade-სერტიფიკატების მფლობელი გახდა!**

მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათმა“, რომელსაც 2014 წლიდან ჯგუფური ბიოსერტიფიცირების სისტემა აქვს დანერგილი, 2024 წელსაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია - ასოციაციის 301 წევრმა ევროკავშირში აღიარებული ბიოსერტიფიკატი 542.7 ტონა თხილზე უკვე მიიღო.
მიმდინარე წელს მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათმა“ წარმატებით გაიარა საერთაშორისო აუდიტი და Fairtrade-სერტიფიკატის მფლობელი გახდა. სერტიფიკატი მოქმედებს 2028 წლის 18 იანვრამდე.

- **ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციია ორგანული ჯგუფური სერტიფიკატის მფლობელია!**

„ელკანას“ წევრი ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია 2018 წლის დეკემბერში დაარსდა. იგი მაღალმთიანი აჭარის მეფუტკრეებს აერთიანებს, რომლებიც „ფუტკრის მოშინაურების“ საუკუნოვან ტრადიციას მისდევენ და ამ რთულ საქმეს აგრძელებენ. 2022 წელს კი „ელკანას“ ხელშეწყობით ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციამ შეიმუშავა და დანერგა შიგა კონტროლის სისტემა. 2024 წელს ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის წევრმა მეფუტკრეებმა 255 ჯარას სკიდან ამოღებულ 2.05 ტონა თაფლზე ჯგუფური ბიოსერტიფიკატი მიიღეს.

ტრენინგი აგროეკოლოგიისა და ბიომეურნეობის საკითხებზე

■ კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის შესახებ ცოდნის გავრცელება

2024 წლის იანვრიდან ასოციაცია „ელკანა“, ევროპის კლიმატის ფონდის მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში ახორციელებს პროექტს - „კლიმატისადმი მდგრადი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის შესახებ შესაძლებლობების განვითარება, ცოდნის გაზიარება და ადვოკატირება საქართველოში“. პროექტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის, ფერმერულ მეურნეობებში გაიმართა 20 სამუშაო ვიზიტი, რომლებშიც მონაწილეობდა 247 მეურნე. ვიზიტებისას განიხილეს შემდეგი საკითხები: აგროეკოლოგიური პრაქტიკა რეგიონში, აგრარული ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა, კლიმატის ცვლილება, ადაპტაცია და ორგანული სოფლის მეურნეობა.

დამსწრეების რაოდენობა ფერმერულ ვიზიტებზე



ვიზიტების შემდგომ ეტაპზე ორივე რეგიონში ჩატარდა თესლეულის გაცვლის 2 დღე (52 მონაწილე), რომლის ფარგლებშიც ფერმერებმა ერთმანეთს გაუცვალეს თავ-თავიანთ მეურნეობებში წარმოებული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესლი მცირე რაოდენობით, ერთმანეთს გაუზიარეს ასევე ამ კულტურათა მოვლა-მოყვანისა და შემდგომი გამოყენების ცოდნა და გამოცდილება.

დამსწრეების რაოდენობა თესლეულის გაცვლის დღეებზე



■ ტრენინგი - მცენარეული კულტურების კონდიციური თესლეულის გამრავლება, პოპულარიზაცია, გავრცელება

21 ივნისს სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი) და 28 ივნისს სოფელ ზემო ხოდაშენში (კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტი) „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობებში ჩატარდა ტრენინგი, ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ჩეხეთის გაეროს განვითარების პროგრამით (UNDP) დაფინანსებული პროექტის - „თესლეულის ბიბლიოთეკების“, ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ჩეხურ ორგანიზაცია Seminkovna-სთან ერთად. ტრენინგს წარუძღვნენ ნუკრი მემარნიშვილი და ლალი გოგინავა, ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლები.

ტრენინგებს ესწრებოდნენ საჯარო სკოლის, პროფესიული კოლეჯის, უნივერსიტეტის, ფერმერთა ასოციაციის, აგროტურისტული და საოჯახო მეურნეობების წარმომადგენლები სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან (სულ 23 პირი, მათ შორის 16 ქალი). ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს უახლესი ინფორმაცია და გაიღრმავეს ცოდნა შემდეგ საკითხებზე: თესლეულის ბიბლიოთეკები - მათი ისტორია, მიზანი და განხორციელების გზები, მეთესლეობის არსი და მიზანი, ს/ს კულტურების მეთესლეობა ფერმერულ მეურნეობაში, თესლის აღება, დახარისხება და შენახვა, თესლის მომზადება დასათესად.

■ ტრენინგი - თესლეულის ბიბლიოთეკების მართვა - ჩეხეთის გამოცდილების გაზიარება

4 ივლისს სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი) და 5 ივლისს სოფელ ზემო ხოდაშენში (კახეთი, ახმეტის მუნიციპალიტეტი) მოქმედ „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობებში ჩატარდა ტრენინგი ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ჩეხეთის გაეროს განვითარების პროგრამით (UNDP) დაფინანსებული პროექტის - „თესლეულის ბიბლიოთეკების“ ფარგლებში. ეს იყო ერთობლივი ღონისძიება ჩეხურ ორგანიზაცია Seminkovna-სთან ერთად, რომელსაც უძღვებოდა კლარა ჰრდა, Seminkovna-ს წარმომადგენელი. ტრენინგს ესწრებოდნენ საჯარო სკოლების, პროფესიული კოლეჯის, ბიბლიოთეკების, ფერმერთა ასოციაციის, აგროტურისტული და საოჯახო მეურნეობების წარმომადგენლები (სულ 20 პირი, მათ შორის 11 ქალი). ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ თესლეულის ბიბლიოთეკების მეთოდოლოგიას, მნიშვნელობას, მისიას და ისტორიას, მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება თესლეულის ბიობლიოთეკის შექმნა და მისი მართვა.

პროექტის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია „ელკანას“ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში ვრცელდებოდა. სოციალური მედიის საშუალებით დაახლოებით 8,000-მა ადამიანმა მიიღო ინფორმაცია

პროექტის შესახებ. პროექტის ფარგლებში ითარგმნა ჩეხი ექსპერტის კლარა ჰრდას მიერ ჩეხეთის ბიბლიოთეკების მაგალითზე მომზადებული წიგნი - „თესლეული ჩვენს ხელებში“, რომელიც ხელმისაწვდომია პროექტით დაინტერესებული ადამიანებისთვის - (https://tinyurl.com/mrp47sew).

■ ტრენინგი - ხეხილოვანი კულტურების მყნობა

ეს ტრენინგი 27 აგვისტოს „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ ჩატარდა. მას ესწრებოდნენ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული დეკორატიული

მებაღეობისა და ეკოლოგიის კოლეჯის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პედაგოგები, „ელკანას“ წევრი ფერმერები (სულ - 29 პირი, მათ შორის 15 - ქალი). ტრენინგის მიზანი იყო ვაშლის ადგილობრივი, ქართული ჯიშების პოპულარიზაცია, ხეხილოვანი კულტურების მყნობის ტექნოლოგიების გაცნობა და პრაქტიკულად განხორციელება.

■ ტრენინგი - ვაზისა და ხილკენკროვანი კულტურების სხვლა-ფორმირება

რა

ასოციაცია „ელკანამ“, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბაზაზე, საპატრიარქოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა საველე პრაქტიკული ტრენინგი: „ვაზისა და ხილკენკროვანი კულტურების სხვლა-ფორმირება“. სტუდენტებმა დაათვალიერეს კვლევითი ცენტრის საკოლექციო ნაკვეთები, მონაწილეობა მიიღეს ხეხილისა და ვაზის სხვლა-ფორმირების პროცესში. გაიმართა დისკუსია, სტუდენტებს მიეცათ პროფესიონალური რჩევები მათთვის საინტერესო საკითხებზე. ტრენინგს 27 მონაწილე დაესწრო (მათ შორის - 15 ქალი).

სად

მცხეთა-მთიანეთი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯიღაურა

როდის

13 მარტი

სასოფლო-სამეურნეო მოდელები - თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

■ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლების ვიზიტი „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“

28 მარტს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მავნებელთა ინტეგრირებული მართვის თემაზე გამართული ტერენინგის მონაწილეები ესტუმრნენ „მარცვლეულის კიდობანს“. ტრენინგის მონაწილეებმა დაათვალიერეს მეურნეობა და გაეცნენ მიმდინარე საქმიანობებს, მათ შორის, დაესწრნენ ვაშლის საძირეების დარგვის პროცესსაც. „ელკანას“ კონსულტანტებისაგან მიიღეს რჩევები ბიომეთოდების გამოყენებით მავნებლების მართვასთან დაკავშირებით.

■ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდის საჯარო სკოლის მასწავლებლისა და მოსწავლეების სტუმრობა „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“

რა

„მარცვლეულის კიდობანში“ ჩატარდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ კლდის საჯარო სკოლის მასწავლებლისა და მოსწავლეების საველე-პრაქტიკული სწავლება. მონაწილეებმა დაათვალიერეს მეურნეობა, გაეცნენ მის საქმიანობას და მიიღეს რჩევები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი

როდის

22 აპრილი

■ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ვიზიტი „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“

რა

„მარცვლეულის კიდობანში“ ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების საველე-პრაქტიკული სწავლება. მონაწილეებმა დაათვალიერეს მეურნეობა, გაეცნენ მის საქმიანობას და მიიღეს რჩევები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი

როდის

27 მაისი

■ შიდა ქართლის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ქალების ვიზიტი „მარცვლეულის კიდობანში“

რა

„ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობას სტუმრობდნენ პროექტში - „მედეგი ქალი ფერმერები ძლიერი და მშვიდობიანი საზოგადოების ასაშენებლად“ ჩართული ქალები. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს მეურნეობა და გაეცნენ მის საქმიანობას. ასევე, „ელკანას“ კონსულტანტმა მათ ჩაუტარა ტრენინგი სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისა და ორგანული სოფლის მეურნეობის საკითხებზე. მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ „ელკანას“ მიერ წამოწყებულ ეროვნულ საქმეში და ხელი შეუწყონ ქართული უნიკალური ჯიშის ხორბლისა და ხილის გავრცელებას შიდა ქართლის რეგიონში. ტრენინგს ესწრებოდა 15 ქალი.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი

როდის

14 სექტემბერი

■ ბიომრავალფეროვნების აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში

„ელკანა“ მონაწილეობს აჯამეთის აღკვეთილში (იმერეთის რეგიონი, საქართველო) ბიომრავალფეროვნების აღდგენის ღონისძიებებში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას, აჯამეთის აღკვეთილში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კრიტიკული ჰაბიტატის აღდგენითა და შენარჩუნება-გაძლიერებით, კერძოდ, იმერული მუხისა და კავკასიური ძელქვის აღდგენის საპილოტე მოდელის განხორციელებით. იმერული მუხა საქართველოს ენდემური სახეობაა, რომელიც საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. 2024 წელს „ელკანას“ ექსპერტების მონაწილეობით ტყის განაპირა ზოლში გაიწმინდა 6 ჰა ფართობი დაზიანებული და გამხმარი ხეებისგან და დაირგო 15,850-მდე იმერული მუხის ნერგი. მთელ ფართობზე მოეწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა, დამონტაჟდა 215-ტონიანი წყლის რეზერვუარი. ნერგებს უტარდებათ საჭირო აგროტექნიკური / მოვლითი ღონისძიებები და მათი გახარების პროცენტი 90%-ს აღემატება.

- **ტრენინგკურსი დევნილთა ჩასახლებებში**

2023 წლიდან „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ (გიფ-თ) და მისი პარტნიორი ასოციაცია „ელკანა“ ახორციელებენ პროექტს „SOLATIUM: სამართლიანობისა და კეთილდღეობისთვის“. პროექტის მიზანია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფლებში ჩასახლებული 2008 წლის ომით დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის დევნილთა თემის, ცალკეული პირებისა და მათი ოჯახების ფსიქიკური ჯანმრთელობის, სამედიცინო და სოციალური საჭიროებების მხარდაჭერა, ასევე საარსებო წყაროებისა და შემოსავლის მომტანი საქმიანობების განვითარების ხელშეწყობა.

2024 წელს, პროექტის ფარგლებში, ასოციაცია „ელკანას“ თანამშრომლებმა ბაზალეთისა და წეროვანის დევნილთა ჩასახლებებში ჩაატარეს 5-დღიანი ტრენინგკურსი ბიზნესის განვითარების საკითხებზე. კურსი მოიცავდა ბიზნესიდეის შემუშავების, ბიზნესგეგმის მომზადებისა და მცირე ბიზნესის მართვის ძირითად პრინციპებს. ტრენინგს უძღვებოდა „ელკანას“ კონსულტანტი ირაკლი ჯავახიშვილი.

ტრენინგკურსს დაესწრო 8 მონაწილე. მიღებული ცოდნის საფუძველზე მათგან 7-მა შეიმუშავა ბიზნესგეგმა, რომელიც დაფინანსდა პროექტის ფარგლებში. მიღებული გრანტებით ბენეფიციარებმა შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ფუტკრის სკები და დედა ღორი, რაც მათ მცირე სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

ბიოპროდუქციისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

- **აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია „მარცვლეულის კიდობანში“**

bp საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტი „აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღდგენა საქართველოს მეურნეობებში“ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში, „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობაში - „მარცვლეულის კიდობანი“ 2024 წლის აპრილიდან მიმდინარეობს და 2025 წლის ივნისში დასრულდება. იგი მიზნად ისახავს საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ადგილობრივი კულტურების აღდგენისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით.

პროექტის ფარგლებში, 2024 წელს, საკონსევაციო მეურნეობაში გასავრცელებლად გამრავლდა ხორბლის ენდემური სახეობები, პარკოსანი და მარცვლოვანი კულტურების ადგილობრივი ჯიშები. ასევე მთელ საქართველოში შეგროვდა და გასამრავლებლად დაითესა ბოსტნეული კულტურების ადგილობრივი ჯიშები. სულ 2024 წელს დამზადდა შემდეგი კულტურების თესლები:

ბოსტნეული კულტურები		
#	დასახელება	რაოდენობა (კგ)
1	ისპანახი	4.06
2	წითელი ჭარხალი	2.07
3	ჭარხალი	2.30
4	იმერული გოგრა	3.00
5	მეგრული სქელკანიანი გოგრა	2.60
6	წითელი ჩერი პომიდორი	0.12
7	მუხრანის პომიდორი	0.35
8	ჭოპორტის ვარდისფერი პომიდორი	0.32
9	მდოგვი	0.44
10	წითელი წიწაკა	0.10
11	პრასი	0.74
12	იისფერი რეჰანი	0.40
13	რეჰანი	0.15
14	იმერული ცხარე წიწაკა	0.11
15	ტაგეტესი (ყვითელი ყვავილი)	0.40
16	ლაგოდეხის საზამთრო	0.20
17	იმერული საზამთრო (ნაკლებთესლიანი)	0.20
18	ნექტარინის ნესვი	0.34
19	ტყის კიტრი	1.74
20	მუხრანის კიტრი	1.58
21	ქინძი	8.90
22	ნიახური	0.38
23	ოხრახუში	0.86
24	ქონდარი	0.85
25	წიწმატი	0.80
26	ხუჭუჭა წიწმატი	1.78
27	სალათა	1.48
28	კამა (სოხუმური)	2.78
29	ბოლოკი	8.60
მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები		
1	დიკა (*Triticum carthlicum)*	950
2	ჩელტა ზანდური (*Triticum timopheevii*)	400

3	მახა (*Triticum macha*)	600
4	კოლხური ასლი (*Triticum paleocolchicum*)	300
5	ცულისპირა (*Lathyrus sativus* L.)	150
6	ოსპი (*Lens culinaris*)	120
7	ცერცვი (*Vicia faba* L.)	220
8	მუხუდო (*Cicer arietinum*)	400
9	ცერცველა (*Vigna unguiculata* L.)	250
10	ღომი (*Setaria italica*) – 800 კგ.	800

■ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობნის“ სერტიფიცირება

2 დეკემბერს სერტიფიკაციის ორგანო შპს „კავკასსერტმა“ ასოციაცია „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ გეგმიური ყოველწლიური ინსპექტირება ჩაატარა. ინსპექტირება წარმატებით დასრულდა და მეურნეობამ ორგანული წარმოების მოთხოვნებთან შესაბამისობა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

„მარცვლეულის კიდობნის“ ორგანული სერტიფიცირების პროცესი შპს „კავკასსერტის“ მიერ 2023 წელს დაიწყო. მეურნეობის გარდამავალი პერიოდის ათვლა 2023 წლის 9 ნოემბრიდან მიმდინარეობს.

„ელკანას“ აგროეკოლოგიური ნიშანი

2019 წელს „ელკანამ“ ასოციაციის წევრი ფერმერებისთვის შეიმუშავა და დანერგა აგროეკოლოგიური ნიშნის მინიჭების სისტემა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს „ელკანას“ წევრი ფერმერების პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრებასა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას. სისტემა ევროკავშირის მინიმალურ რეგულაციებსა და აგროეკოლოგიურ პრინციპებს ეფუძნება. აგროეკოლოგიური ნიშნის მინიჭება ხდება ორგანიზაციის მიერ შემუშავებული შიგა კონტროლის სისტემის საფუძველზე. 2024 წლის მონაცემებით, „ელკანას“ წევრებთან ჩატარებული ინსპექციის საფუძველზე 61 მწარმოებლის პროდუქტს სხვადასხვა დროს მინიჭებული ჰქონდა აგროეკოლოგიური ნიშანი.

„ელკანას“ წევრი ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა „გუდვილში“

რა

„ელკანამ“ „გუდვილთან“ ერთად და „საერთაშორისო კულტურის სივრცის“ მხარდაჭერით ჩაატარა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 16 ორდღიანი გამოფენა-გაყიდვა, სადაც „ელკანას“ წევრი ფერმერების მიერ ორგანული და აგროეკოლოგიური მეთოდებით წარმოებული პროდუქცია იყო წარმოდგენილი. წლის განმავლობაში ღონისძიებაში რეგულარულად მონაწილეობდა „ელკანას“ 23 წევრი.

სად

თბილისი, „გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორია

როდის

მთელი წლის განმავლობაში, საშუალოდ თვეში 2-ჯერ

კონფერენცია - „საქართველოს მცირე ფერმერთა ჯგუფების მიერ წარმოებული ორგანული და ფეართრეიდ თხილის საბაზრო შესაძლებლობები“

2024 წლის 20 ივნისს, ქორთიარდ მარიოტი თბილისში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ და შვეიცარიული ორგანიზაცია ჰექს-ეპერის სამხრეთ კავკასიის ოფისის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია - „საქართველოს მცირე ფერმერთა ჯგუფების მიერ წარმოებული ორგანული და ფეართრეიდ თხილის საბაზრო შესაძლებლობები“. კონფერენცია „ელკანას“ დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ და ჰექს-ეპერის (HEKS-EPER)

სამხრეთ კავკასიის ოფისის რეგიონულმა დირექტორმა ბექა ურუშაძემ გახსნეს. ჰექს-ეპერის აზიის პროგრამის ხელმძღვანელმა მარკ ზოსმა დისტანციურად მიმართა კონფერენციის მონაწილეებს.

კონფერენციამ შვეიცარიული ორგანიზაცია ჰექს-ეპერისა და დანიის განვითარების სააგენტო დანიდას (DANIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ორგანული თხილის წარმოების ჯაჭვის განვითარება დამატებითი შემოსავლებისა და ღირსეული დასაქმებისათვის დასავლეთ საქართველოში", შედეგები შეაჯამა. კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისო ექსპერტებმა:

- პროექტის შედეგებისა და მის ფარგლებში დაარსებული EU Organic და Fairtrade სერტიფიცირებული ბიოთხილის მწარმოებელთა ასოციაცია „კავკასნათის“ მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს ასოციაცია „ელკანას“, ასოციაცია „კავკასნათისა“ და პროექტის კომერციული პარტნიორის - შპს „პაკკა ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა;
- მცირე ფერმერთა ორგანული და Fairtrade სერტიფიცირების გამოწვევებისა და პერსპექტივების, მცირე ფერმერთა ფინანსური მხარდაჭერის სქემებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის შესაძლებლობების შესახებ მოხსენებებით წარდგნენ საკონსულტაციო „სთიმსქეილის“, სერტიფიცირების ორგანო შპს „კავკასსერტის“ და შვეიცარიის Fairtrade ორგანიზაციის - „მაქს ჰაველარისა“ და შვეიცარიული კომპანია „გებანას“ წარმომადგენლები.

ორგანული თხილის წარმოების გამოწვევების განხილვას დაეთმო კონფერენციის ბოლო ნაწილი, სადაც აგრონომებისა და ბიოსაშუალებების შემომტანი/მწარმოებელი კომპანიების მონაწილეობით ცოცხალი დისკუსია გაიმართა.

კონფერენციას ესწრებოდა სამოცზე მეტი მონაწილე - საერთაშორისო, სამოქალაქო და სამეცნიერო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ორგანული მეურნეობები, ბიოსაშუალებების მწარმოებელი კომპანიები და სხვა დაინტერესებული პირები.
კონფერენციის პარალელურად გაიმართა ბიოსაშუალებების გამოფენა.

ჩეხური თესლის ბანკების გამოცდილების გაზიარება

„ელკანას“ თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი ჩეხეთში

27-29 თებერვალს გაიმართა სასწავლო ვიზიტი Semínkovna-ს მიერ ორგანიზებული ჩეხური თესლის ბიბლიოთეკების დასათვალიერებლად. „ელკანას“ მხრიდან ვიზიტში მონაწილეობდნენ მარიამ ჯორჯაძე, თამაზ დუნდუა და ნუკრი მემარნიშვილი. მათ მოინახულეს თესლეულის ბიბლიოთეკები ჰრადეც კრალოვესა და პრაღაში და გაეცნენ თესლეულის

ბიბლიოთეკების მართვის სხვადასხვა გამოცდილებას. Semínkovna-ს მიერ ორგანიზებულ სასწავლო შეხვედრას ხელმძღვანელობდა კლარა ჰრდა, ხოლო ჰრადეც კლაროვეში „ელკანას“ გუნდი შეხვდა იან ჩაპოვას, რომელმაც წარმართა დისკუსია ადგილობრივ თესლის ბიბლიოთეკებზე. ამ ქალაქში პროექტის გუნდმა მოინახულა სამი ბიბლიოთეკა – ქალაქის ცენტრში მდებარე ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკა,

გარეუბანში - მცირე ბიბლიოთეკა და საბავშვო ბაღში არსებული ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკების პასუხისმგებელმა პირებმა სტუმრებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება თესლეულის ბიბლიოთეკების მუშაობასთან დაკავშირებით. მომდევნო დღეს პრაღაში პროექტის გუნდმა მოინახულა თესლეულის ბიბლიოთეკები ეკოლოგიურ ფერმაში, საჯარო ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტში.

■ ჩეხეთის დელეგაციის ვიზიტი „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“

25 ივლისს და 19 ნოემბერს „მარცვლეულის კიდობანმა“ უმასპინძლა ჩეხეთის დელეგაციას - ჩეხეთის გაეროს განვითარების პროგრამისა და ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლებს. მათ დაათვალიერეს მეურნეობა და გაეცნენ „ელკანას“ საქმიანობას. მოინახულეს თესლეულის ბიბლიოთეკა, რომელიც იქ ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტის -

„თესლეულის ბიბლიოთეკები“ ფარგლებში მოეწყო. პროექტი ჩეხურ ორგანიზაცია Seminkovna-სთან ერთად განხორციელდა. სტუმრები გაეცნენ „თესლეულის ბიბლიოთეკების“ პროექტის ფარგლებში „ელკანას“ მიერ განხორციელებულ საქმიანობებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

■ ახალციხის კოლეჯ „ოპიზარის“ წარმომადგენლების ვიზიტი „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“

19 აპრილს კოლეჯ „ოპიზარის“ მიერ აგრარული მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრის ფარგლებში გაიმართა, კოლეჯის წარმომადგენლებისა და მათი სტუმრების გაცნობითი შეხვედრა ასოციაცია „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობაში, რომელიც მიზნად ისახავდა კოლეჯის სტუმრებისათვის ორგანიზაციის საქმიანობისა და კოლეჯსა და „ელკანას“ შორის არსებულ ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილების გაცნობას.

■ ორგანული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - შემაჯამებელი ღონისძიება

2024 წლის 24 მაისს მცხეთა-მთიანეთში, თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ჩატარდა პროექტის - „ორგანული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში“ - შემაჯამებელი ღონისძიება, რომლის მიზანი იყო დამსწრე საზოგადოებისათვის პროექტის შედეგების წარდგენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) წარმომადგენლები, ასოციაცია „ელკანას“ დირექტორი, პროგრამის მენეჯერი და თანამშრომლები, პროექტის გუნდი, ბენეფიციარები, მოწვეული სტუმრები სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორიდან.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ასოციაცია „ელკანას“ დირექტორი, მარიამ ჯორჯაძე. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ღონისძიებაში მონაწილეობისთვის, აღნიშნა დონორის წვლილი პროექტის განხორციელებაში და ხაზი გაუსვა ამ პროექტის მნიშვნელობასა და საჭიროებას თიანეთის მუნიციპალიტეტისათვის. შემდეგ მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, ალექსანდერ კარნერმა. მან ისაუბრა ევროპაში სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, ხაზი გაუსვა ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელობას. მან აღნიშნა ასოციაცია „ელკანას“ როლი პროექტის განხორციელებაში და მადლობა გადაუხადა ორგანიზაციას გაწეული შრომისათვის.

მისალმების შემდეგ, პროექტის მენეჯერმა სოფიო ბარბაქაძემ მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა პროექტის შედეგები. მან ისაუბრა პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებზე - ჩატარებულ ტრენინგებზე ორგანული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტურიზმის მიმართულებით, ადგილობრივ და საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებზე, თანამშრომლობაზე მცხეთა-მთიანეთის რეგიონის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებთან, ბენეფიციარების მონაწილეობაზე ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებზე, მარკეტინგულ აქტივობებზე, თიანეთის განვითარების გეგმის განახლებასა და მცირე ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე.

პროექტის შედეგების წარდგენის შემდეგ, სტუმრებს საკუთარი ისტორიები გაუზიარეს ბენეფიციარებმა. მათ ისაუბრეს პროექტში მონაწილეობასა და წარმატებულ გამოცდილებაზე. შეხვედრის დასრულებისას პროექტის შესახებ ისაუბრეს „ელკანას“ კონსულტანტებმა: ლალი გოგინავამ და ნუკრი მემარნიშვილმა.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის უფროსი, ბატონი ნიკოლოზ კიკნაველიძე. მან ისაუბრა პროექტში საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ჩართულობასა და მონაწილეობაზე.

ღონისძიების პარალელურად გაიმართა პროექტის ხელშეწყობით დაფინანსებული პირების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიების დასრულების შემდეგ, სტუმრებმა დააგემოვნეს ადგილობრივი კერძები.
პროექტს 2019 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის მაისის ჩათვლით ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“.

■ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს - JICA-ს საქართველოს ოფისის წარმომადგენლების ვიზიტი „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“

რა

„მარცვლეულის კიდობანს“ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) საქართველოს ოფისის წარმომადგენლები ესტუმრნენ. მათ დაათვალიერეს მეურნეობა და გაეცნენ „ელკანას“ საქმიანობას.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი

როდის

6 ივლისი

■ Brot für die Welt-ის სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პროგრამის წარმომადგენელი ესტუმრა „ელკანას“ წევრ მეურნეებს

რა

Brot für die Welt-ის სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პროგრამის წარმომადგენლი კიმ ნოელ კვიბუკა ესტუმრა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წევრებს:

- ლომინაძის საოჯახო მარანი, ვანი, სოფელი ფერეთა და სალომინაო
- ჯიხეთის დედათა მონასტრი – მრავალდარგოვანი მეურნეობა
- ავთანდილ ხუხუნაიშვილის მეურნეობა - მეფუტკრეობა, სკების და ცვილის წარმოება, ლაჩხუთი
- თენგიზ ურუშაძის მეურნეობა – მეფუტკრეობა და მეცხოველეობა, სოფელი ორაგვე, ლანჩხუთი

შეხვედრებს მარიამ ჯორჯაძე, თამაზ დუნდუა და ვახტანგ ღლონტი უძღვებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში სტუმარი შეხვდა წევრ მეურნეებს, გაეცნო მათ საქმიანობას და ესაუბრა არსებულ გამოწვევებსა და „ელკანას“ მიმდინარე პროგრამის როლზე მათი ბიზნესის განვითარებაში.

ვიზიტის ფარგლებში სტუმარი ასევე ეწვია ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს.

სად
დასავლეთ საქართველო - იმერეთი, გურია

როდის
26 ნოემბერი

■ კომპანია „დავინეს საქართველოს“ წარმომადგენლების ვიზიტი ზემო ხოდაშენის შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობაში

ოქტომბრის დასაწყისში ასოციაცია „ელკანამ“ ზემო ხოდაშენის შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობაში კომპანია „დავინეს საქართველოს“ წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრის მონაწილეებს „ელკანას“ ექსპერტებმა გააცნეს ბიოწარმოების მეთოდები, ხოლო კომპანია „დავინეს საქართველოს“ წარმომადგენლებმა წარადგინეს ორგანული (ბიო) სტანდარტებით წარმოებული კოსმეტიკური პროდუქცია.

■ ფერმერთა მარში

23 დეკემბერს ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საპროტესტო აქციაში - „ფერმერთა მარში“. აქციის მონაწილეები შეიკრიბენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინ და გამოხატეს თავიანთი პოზიცია - „ჩვენ ვაპროტესტებთ არალეგიტიმური მთავრობის ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს. თავისუფლება ყველა უსამართლოდ დაკავებულ აქციის მონაწილეს. ვითხოვთ ახალი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. საქართველოს ადგილი ევროპაშია!“.

■ თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან

24 დეკემბერს ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტმა, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო კახეთში მოწყობილ ექსპედიციაში, რომლის მიზანი იყო ალაზნისა და ივრის ჭალებში ველური ვაზის ფორმების მოძიება და მათი გავრცელების ადგილის დაფიქსირება-მონიშვნა.

■ საახალწლო საჩუქრები პოლიტიკური პატიმრების ოჯახებს

„ელკანამ“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, საქართველოში რეჟიმის 51 პოლიტიკური პატიმრის ოჯახებს, გაუგზავნა სიმბოლური საახალწლო საჩუქრები - თაფლი, ჩურჩხელა და ბროშურა ტრადიციული ღვინის წარმოების შესახებ.

„ელკანას“ გამოცდილების პრეზენტაცია გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ

14-16 მაისს ერევანში გაიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნეს-ფორუმი 2024. ფორუმზე მიწვეული იყო მარიამ ჯორჯაძე. მან ისაუბრა გეოგრაფიული აღნიშვნების პროდუქტების განვითარების საკითხებზე „ელკანას“ გამოცდილების შესახებ. კერძოდ, იმ სამუშაოებზე, რომლებიც წინა წლებში მსოფლიო სურსათის ორგანიზაციისა (FAO) და EBRD-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში გეოგრაფიული აღნიშვნების პროდუქტების - თუშური გუდისა და სულგუნის რეგისტრაციისთვის ჩატარდა.

ასოციაცია „ელკანა“ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მცირე მეურნეთა სოციალურ ფორუმზე

4–6 დეკემბერს ბუქარესტში (რუმინეთი) გაიმართა სოციალური ფორუმი „მცირე მეურნეები გლეხთა უფლებებისა და აგროეკოლოგიის მხარდასაჭერად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში“ (Smallholders Advocate for Peasants' Rights and Agroecology in Central-Eastern Europe). ფორუმი ჩატარდა Erasmus+ პროგრამის UPSOL პროექტის ფარგლებში და მასში მონაწილეობდნენ ფერმერები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ექსპერტები, პოლიტიკის შემმუშავებლები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

ფორუმის ფარგლებში განხილულ იქნა გლეხთა უფლებების, მიწაზე, თესლსა და ბიომრავალფეროვნებაზე ხელმისაწვდომობის, აგროეკოლოგიის, სასურსათო სუვერენიტეტისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში მცირე მეურნეების წინაშე არსებული გამოწვევების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიწის დაცვის, მიწების მიტაცების წინააღმდეგ ბრძოლის, ადგილობრივი სათესლე სისტემების შენარჩუნებისა და მცირე ფერმერების ბაზრებზე წვდომის თემებს.

ფორუმის ფარგლებში ასევე გაიმართა საერთაშორისო თესლების გაცვლის ღონისძიება ბუქარესტის ისტორიულ „ობორის“ ფერმერთა ბაზარში და საჯარო კონფერენცია, სადაც მონაწილეობდნენ FAO-ს, გაეროს ადამიანის უფლებათა სისტემის, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ფერმერული ორგანიზაციების წარმომადგენლები. დისკუსიების მთავარი გზავნილი იყო გლეხთა უფლებების, აგროეკოლოგიისა და სოფლის თემების მხარდაჭერის მნიშვნელობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

ფორუმის ერთ-ერთი პარტნიორი იყო ასოციაცია „ელკანა“. მარიამ ჯორჯაძემ მონაწილეობა მიიღო რეგიონული თანამშრომლობის, გლეხთა უფლებებისა და აგრობიომრავალფეროვნების დაცვის საკითხების განხილვაში.

სოფლის ტურიზმი

გერმანელი ტურისტები სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში

ტურისტული კომპანია „ჯორჯია ინსაითის“ ორგანიზებითა და ასოციაცია „ელკანას“ მხარდაჭერით, წარმატებით განხორციელდა მეორე აგრარულ-კულტურული ტური საქართველოში. 10-დღიან ექსკლუზიურ ტურს ექსპერტები ჰეინც გენგენბახი და გიუნტერ ზემლერი ხელმძღვანელობდნენ.

9 სექტემბერს გერმანელი ტურისტების 15-კაციანი ჯგუფი „ელკანას“ შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობას ესტუმრა სოფელ ზემო ხოდაშენში. ტურისტებმა დაათვალიერეს მეურნეობა, გაეცნენ „ელკანას“ საქმიანობას, მონაწილეობა მიიღეს ცხოველების გამოკვებაში და დააგემოვნეს დიკას, შავფხასა და წითელი დოლის პური, ძველი ქართული კულტურებისგან მომზადებული კერძები.

12 სექტემბერს გერმანელი ტურისტები „ელკანას მარცვლეულის კიდობანს” ესტუმრნენ სამცხე-ჯავახეთში, სოფელ წნისში. ტურისტებმა დაათვალიერეს მეურნეობა, გაეცნენ „ელკანას“ საქმიანობას, ნახეს მარცვლოვანი და სამარცვლე პარკოსანი კულტურების ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების საკოლექციო ნათესები, ხორბლის ხუთი ენდემური სახეობის თავთავების ნიმუშები, ვაშლისა და მსხლის ადგილობრივი ჯიშების ბაღი და სანერგე. ტურისტებმა მონაწილეობა მიიღეს ახალციხის წითელი დოლისა და დიკას პურის ცხობასა და მესხური აპოხტის ხინკლის მომზადების მასტერკლასში.

პუბლიკაციები



■ კავკასიის ეკორეგიონის გარემოსდაცვითი მდგომარეობის მიმოხილვა

2024 წელს გამოქვეყნდა პუბლიკაცია - კავკასიის ეკორეგიონის გარემოსდაცვითი მდგომარეობის მიმოხილვა, მეორე გამოცემა (CEO2), რომელიც მომზადდა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) დაკვეთით, კავკასიის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების ქსელის (Sustainable Caucasus), GRID-Arendal და ჟენევის უნივერსიტეტის მიერ. პუბლიკაციის მეხუთე თავი - ნიადაგის საფარი, მომზადდა ასოციაცია „ელაკანას“ ექსპერტის ელენე შატბერაშვილის ხელმძღვანელობით. პუბლიკაციაში გაანალიზებულია კავკასიის ეკორეგიონში (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, თურქეთი, ირანი და რუსეთის ფედერაცია) მიწის საფარის მდგომარეობა და მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით.

■ საიუბილეო კალენდრები

2024 წელს ასოციაცია „ელკანამ“ დაარსებიდან 30 წლის იუბილე აღნიშნა. საიუბილეო წლის ფარგლებში, 2024 წლის ბოლოს, ორგანიზაციამ მოამზადა სასაჩუქრე, მაგნიტიანი კალენდრები, რომლებიც წარმოადგენდა როგორც სიმბოლურ, ისე პრაქტიკულ საჩუქარს ორგანიზაციის წევრების, პარტნიორებისა და მხარდამჭერებისთვის.

წლიური შემოსავალი და ხარჯები

ვალუტა: ევრო

	2024 წელი
საწყისი ნაშთი	250,771
შემოსავალი	
დონორები/პროექტები	
Brot fur die welt	237,564
HEKS EPER	162,126
ADA	79,807
FAO	11,046
BP	172,955
AGREEN	27,314
ECVC	8,573
Schola campasina	460
Other	13,279
საწევრო შენატანები	758
შემოწირულობა	3,714
სხვა შემოსავალი	45,575
მთლიანი შემოსავალი	**796,672**
ხარჯები	
პროექტის აქტივობები (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.)	541,278
ინვესტიციები, თანადაფინანსება	73,531
ადმინისტრაციული ხარჯები	186,769
სხვა ხარჯები	152,982
მთლიანი ხარჯი	**954,560**
საბოლოო ნაშთი	92,883

მარიამ ჯორჯაძე
დირექტორი